ხელშეკრულება 16

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. ჭიათურა 26 ოქტომბერი 2015 წ.

ერთის მხრივ სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოგა მოდებაძის სახით და მეორეს მხრივ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ანზორ აბესაძე (შემდგომში „შემსრულებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „sI" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე CRV 03413000 15(თხუთმეტი) კუბური მეტრი მყარი სათბობის(შეშის), მზა დაჩეხილ მდგომარეობაში შესყიდვა

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 1365 (ერთი ათას სამას სამოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3. მიღება -ჩაბარება და ანგარიშსწორების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარმოდგენილი ელექტრონული ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.2. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ანდა ზედნადების გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. შემსრულებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს, სოფელ ეწერის საჯარო სკოლის ეზოში, ხელშეკრულების დადებიდან 15 ნოემბრამდე.

მოხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. დამკვეთი ვალდებულია:

5.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს მიწოდებული 15(თხუთმეტი)კუბური მეტრი შეშის ღირებულება.

5.2. შემსრულებელი ვალდებულია:

5.2.1. შემსრულებელი ვალდებულია მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ზედნადების შესაბამისად.

5.3. დამკვეთი უფლებამოსილია:

5.3.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება;

5.4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

5.4.1. მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედება

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 26 ოქტომბრიდან და მოქმედებს 2015 წლის 15 დეკემბრამდე.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

8.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

8.1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

8.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

9.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 10. დავის გადაწყვეტა

10.1. მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ფორს მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის საჯარო სკოლა მის. ჭიათურა, სოფელი ეწერი საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი LBRTGE22 ს/კ 215606422 ა/ა -ა/ა GE85LB0121181956526000 **დირექტორი** **გოგა მოდებაძე** (ხელმოწერა)	მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფ/პ ანზორ აბესაძე მის. ჭიათურა. სოფელი ღვითორი საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22 ს/კ № 54001017276 ა/ა GE31BG0000000315898600 **ფ/პ ანზორი აბესაძე** (ხელმოწერა)